საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

## 2024 წლის I კვარტალი

20.05.2024
www.geostat.ge

20.05.2024

## საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წლის I კვარტალი)

2024 წლის I კვარტალში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 112.9 ათასი მგზავრი, ხოლო მგზავრთბრუნვის მოცულობამ 280.0 მილიონი მგზავრ-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და მგზავრთბრუნვის მოცულობა 2.7-ჯერ აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

**საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა და მგზავრთბრუნვა**




2024 წლის I კვარტალში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილია 55.7 ათასი ტონა ტვირთი, ხოლო ტვირთბრუნვის მოცულობამ 105.1 მილიონი ტონა-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც გადატანილი ტვირთის (50.1 პროცენტით), ისე ტვირთბრუნვის (49.5 პროცენტით) მოცულობა.

## საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის და ტვირთბრუნვის მოცულობა




2024 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტები 1 417.3 ათას მგზავრს მოემსახურა[1], რაც 35.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს — აეროპორტებმა მიიღო 697.5 ათასი მგზავრი (36.5 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 719.8 ათასი მგზავრი (34.0 პროცენტით მეტი).

[1]**წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

**მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,**
(ათასი კაცი)




2024 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 94.2 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

**მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით,**
(%)



20.05.2024

2024 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 5.9 ათასი ერთეული შეადგინა, რაც 22.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

**სამგზავრო რეისების რაოდენობა**
(ათასი)




2024 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 4.6 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 84.8 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 15.2 პროცენტი - გაგზავნილი.

**ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,**
(ათასი ტონა)



20.05.2024

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

**ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით,**
(%)




2024 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებში 0.3 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 8.5 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

**საკონტაქტო პირები:**

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge